

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

გურამ ბერბიჭაშვილი
(მიტროპოლიტი გრიგოლი)
Guram Berbichashvili
(Metropolitan Grigoli)

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია

Iona Khelashvili's Metaphysical Conception

სპეციალობა: ფილოსოფია
Specialty: Philosophy

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining the Dr. of Philosophy Degree

რეზიუმე
Resume

თბილისი
Tbilisi
2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გურამ ბერბიჭაშვილი
(მიტროპოლიტი გრიგოლი)

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია

სპეციალობა: ფილოსოფია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თენგიზ ირემაძე**
ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 31 მაისს, 17:00 საათზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საატესტაციო-საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (აღმაშენებლის ხეივანი, მე-13-ე კმ.).

სარჩევი

შესავალი	4
საკვლევო პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა	4
კვლევის მიზანი	5
კვლევის ამოცანები.....	6
ჰიპოთეზა	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი	8
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა	11
კვლევის შედეგების აღწერა.....	13
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	16
დასკვნა	18

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა.
ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებას XX საუკუნის საქართველოში დიდად შეუშალა ხელი მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგიის დანერგვამ და გავრცელებამ. ამის შედეგად განსაკუთრებული ზიანი მიაღწა ძველი ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრადიციის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა-ძიებას. ამ ტენდენციის გამო არაერთი საგულისხმო ქართველი მოაზროვნის თეორიული მემკვიდრეობა სათანადო ყურადღების მიღმა დარჩა. იონა ხელაშვილი ახალი დროის ქართული თეორიული აზროვნების ის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის უმდიდრესი თეორიული (ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო) შემოქმედება აქამდე არ გამხდარა ინტენსიური მეცნიერული გამოკვლევის საგანი. არადა, ახალი დროის ქართულ აზროვნებაში იშვიათად თუ მოიძებნება ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, რომელმაც ამ ორი დარგის განვითარებას ისეთი მძლავრი ბიძგი მისცა, როგორც ეს იონა ხელაშვილმა მოახერხა. მან ახალი დროის ქართულ თეორიულ აზროვნებაში ქრისტიანული ფილოსოფიის ერთი-ერთი ყველაზე საგულისხმო მოდელი შექმნა, რომელიც ქართული ღვთისმეტყველების განვითარებისთვის დღესაც უაღრესად აქტუალურია. ეს მოდელი მოიცავს ამ მოაზროვნის მთელ მეტაფიზიკურ კონცეფციას.

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული. აღსანიშნავია, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში ინახება მისი რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომი, რომელშიც მისი უდავოდ საყურადღებო ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო კონცეფციებია გადმოცემული. ამ ნაშრომთა გაშიფვრა, რედაქტირება, გამოცემა და მათი სათანადო შესწავლა ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო აზროვნების

გადაუდებელი კვლევითი ამოცანაა. შესაბამისად, იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია თანამედროვე ქართული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი. როგორც ზემოთ აღინიშნა, იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის დაწვრილებითი ფილოსოფიური ანალიზი ჯერ არ მომხდარა. უფრო მეტიც, ეს დიდი ქართველი მოაზროვნე ქართული საბჭოთა მარქსისტული ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის კონტექსტში „რეაქციონერად“ იყო შეფასებული. ეს ტენდენცია ისე ყოვლისმომცველი აღმოჩნდა, რომ იგი თვით შალვა ნუცუბიძემაც კი თავისი „ფილოსოფიის ისტორიის“ მეორე ტომში „თეოლოგიურ-რეაქციონური მიმდინარეობის“ იმ წარმომადგენლად მიიჩნია, რომელიც ქართული ფილოსოფიური აზრის პროგრესული გზით განვითარებას ახალი დროის ქართულ აზროვნებაში ხელს უშლიდა. ამგვარმა შეფასებებმა დიდად შეუშალა ხელი იონა ხელაშვილის მრავალმხრივი შემოქმედების შესწავლა-ათვისების საქმეს. დღემდე უცნობი რჩება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი. ამ მოაზროვნის თვით დაბადების ზუსტი თარიღიც კი დღემდე უცნობი იყო. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, რეკონსტრუირებული იქნება იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია, ასევე, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე უცნობი არაერთი მნიშვნელოვანი დეტალი. აღსანიშნავია, რომ იონა ხელაშვილის ნამდვილი ცხოვრებისეული პორტრეტის აღდგენა და გათვალისწინება აუცილებელია ამ ქართველი მეტაფიზიკოსის შემოქმედების ადეკვატური ანალიზისა და შეფასებისთვის, რადგან იონა ხელაშვილი იმ რჩეულ მოაზროვნეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთისაგან განუყოფელია და, ამდენად, ისინი ერთიან ჭრილში უნდა იქნეს წარმოდგენილი.

კვლევის ამოცანები. დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების განხორციელება: (1). იონა ხელაშვილის თეორიული შემოქმედების შესახებ არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვა და მეცნიერული შეფასება. (2). კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იონა ხელაშვილის ხელნაწერთა აღწერა, სისტემურ-მეთოდოლოგიური კლასიფიკაცია, იმ პრობლემებისა და თემატიკის გამოკვეთა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თავად იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის განხილვისა და ანალიზის დროს. (3). განხილული და გაანალიზებული უნდა იქნეს ის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემო, რომელშიც იონა ხელაშვილს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. აქვე რეკონსტრუირებული უნდა იქნეს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, რომლებიც აქამდე ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში არ იყო ცნობილი, ან კიდევ არასწორად იყო წარმოდგენილი (მაგალითად, ცნობები იონა ხელაშვილის დაბადების თარიღის შესახებ). (4). იონა ხელაშვილის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია ახალი დროის ევროპულ-ქართული მეცნიერული აზროვნების კონტექსტში მისი მოძღვრების განხილვა, რადგან მისი შემოქმედება სწორედ ახალი დროის მეცნიერული აზროვნების ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენს. ამ ასპექტების სათანადო გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს, რომ იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის თავისებურებანი გამოვკვეთოთ და მისი სიახლე და ორიგინალურობა ვაჩვენოთ. (5). სადისერტაციო ნაშრომის ბოლო თავებში წარმოდგენილი უნდა იქნეს იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი პრობლემები მის ცნობილ, ნაკლებად ცნობილ და დღემდე უცნობ ნაშრომებსა და მასალებზე დაყრდნობით. აქვე საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის სპეციფიკისა და თავისებურებების განხილვასა და ანალიზს, რათა თავად ამ კონცეფციის სიახლე და აქტუალობა წარმოჩნდეს.

ჰიპოთეზა. იონა ხელაშვილის ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო შემოქმედების მთავარი შედეგები შეჯამებულია მის საკვანძო ნაშრომში „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი“ (1826 წ.). ქართველი მოაზროვნე აქვე აყალიბებს ქრისტიანული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების მოდელს, რომელიც ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს მის მიერვე დასახული კვლევითი მიზნებისა და მეთოდოლოგიური პრინციპების მომარჯვებით. ასეთი მეთოდოლოგიური ნაზავის შედეგად იქმნება ფილოსოფიური ღვთისმეტყველების ხელაშვილისეული ვერსია, რომელსაც იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია შეიძლება ეწოდოს. მეტაფიზიკის ასეთი სახე ორიენტირებულია ქრისტიანული ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების ისეთი კომბინაციის შექმნაზე, რომელიც სამყაროს დიადი წიგნების, „წმინდა წერილის“ ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, რომლის თანმიმდევრული განვითარება მისსავე მეტაფიზიკურ კონცეფციას ქმნის, ეფუძნება ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნისმეტყველებას და მის სპეციფიკურ ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას წარმოადგენს.

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური ტექსტებისა და ბიბლიური წიგნების კომენტარების კონტექსტური წაკითხვის მეთოდოლოგიური საფუძვლების მომარჯვების შედეგად, ირკვევა, რომ ქართველი ფილოსოფოსი ღვთისმეტყველი ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის გაგების საკუთარ მოდელს გვთავაზობს, რომელიც დიდი ქრისტიანი მოაზროვნეების ქრისტოლოგიურ ნააზრევს ეფუძნება. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი „ქრისტიანულ კატეგორიათმოდღვრება“, რომლის საფუძველზეც თავად იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია შეიძლება დახასიათდეს როგორც „ფილოსოფიური ღვთისმეტყველება“ ანუ „ქრისტიანული მეტაფიზიკა“.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

1. იონა ხელაშვილის ავტორობით შექმნილია რამდენიმე ათეული ნაშრომი, რომლებშიც გადმოცემულია მეტად საყურადღებო თეოლოგიური, ფილოსოფიური, ესთეტიკური და ლიტერატურული შეხედულებები. იგი იყო მწიგნობარი, მკვლევარი, ფილოსოფოსი, ერეკლე II-ის შვილებისა და შვილიშვილების კარის მოძღვარი და არაერთი ქართველი საზოგადო მოღვაწის აღმზრდელი და დამრიგებელი.

2. იონა ხელაშვილის მეტად მდიდარი ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ნააზრევის მეცნიერული შესწავლის კუთხით, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები მას შემდეგ გადაიდგა, რაც გულნარა დედაბრიშვილმა ჯერ მისი მთავარი თხზულება „ოცდაათოთხმეტი შეკითხვის წიგნი“ გამოსცა (თბ., 1967 წ.), ხოლო შემდეგ კი - მისი „ეპისტოლური არქივი“ (თბ., 2000 წ.). ამ გამოცემებს თან ერთვის თავად გამომცემლის შესავალი წერილები და შენიშვნები, რომლებშიც ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის მსოფლმხედველობის ესა თუ ის ასპექტია წინა პლანზე წამოწეული. მიუხედავად ამისა, ამ ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის თეორიული შემოქმედების სერიოზული შესწავლა-ანალიზი მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში არ მომხდარა. უფრო მეტიც, სწორედ იმ დროში გაბატონებული საბჭოთა მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგიის შედეგად იონა ხელაშვილი „რეაქციონერ თეოლოგად“ იქნა გამოცხადებული, რომელიც გააფრთხილები ებრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიის მიღწევებს (შ. ნუცუბიძე).

3. შალვა ნუცუბიძის მიერ დამკვიდრებული ამ შეფასების რეალიზების თვალნათელ მაგალითს წარმოადგენს 1984 წელს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ბაადურ გელაშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „მეცნიერული ათეიზმის

მიმართულებით“ წარდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი „იონა ხელაშვილის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების კრიტიკული ანალიზი“. ამ ნაშრომში „მარქსისტულ-ლენინისტური ათეიზმის“, ანუ თავად დისერტაციის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეცნიერული ათეიზმის“ პოზიციებიდან არის შეფასებული იონა ხელაშვილის თეორიული ნააზრევი. უფრო მეტიც, ბაადურ გელაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი განეკუთვნება „რელიგიის მარქსისტულ-ფილოსოფიური კრიტიკის სფეროს“ და მის მიზანს წარმოადგენს იონა ხელაშვილის რელიგიური მსოფლმხედველობის კრიტიკა „მეცნიერული ათეიზმის“ მეთოდოლოგიურ წანამძღვრებზე დაყრდნობით. აღნიშნულ ნაშრომში ცალსახად არის ხაზგასმული მისი „თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი“: „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი“ და „მეცნიერული ათეიზმის“ კლასიკოსთა (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, ვ. ლენინი) ნაშრომები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ. დისერტანტის აზრით, საკვალიფიკაციო ნაშრომი, საბოლოო ჯამში, სრულად ეყრდნობა „მეცნიერული ათეიზმის ფუძემდებლის“, კარლ მარქსის მეთოდოლოგიას გამოყენებულს მისსავე ნაშრომში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“, რომელშიც, თავის მხრივ, დისერტანტის აზრით, „პროლეტარული ათეიზმის“ მთავარი პრინციპებია ჩამოყალიბებული.

4. საბჭოთა მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგიის საფუძველზე შესრულებული ნაშრომები (მიუხედავად მათი მცირე რაოდენობისა!) მკვეთრად საბჭოთა იდეოლოგიურ ელფერს ატარებს და მათ მიერვე დასახულ ე.წ. „ობიექტური შეფასების“ კრიტერიუმებს არღვევს. შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვაქვს იდეოლოგიზებული სამეცნიერო კვლევები, რომლებიც წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას ესწრაფვის. ბაადურ გელაშვილის ზემოთ დასახელებული საკვალიფიკაციო ნაშრომი ამ კუთხით მეტად საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს. კერძოდ, მასში აშკარად იგრძნობა, რომ ქართველი

დისერტანტი ანგარიშს უწევს იმ ეპოქაში გამეფებულ „საბჭოთა“ და „პრორუსულ“ კვლევით ტენდენციებს და იგი იონა ხელაშვილს იმ მოაზროვნეთა რიცხვს მიაკუთვნებს, რომელთა აზრით, „ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოსთვის მხოლოდ რუსეთზე გადის“ და ა.შ. გარდა ამისა, შალვა ნუცუბიძის შეფასება იონა ხელაშვილის ნააზრევისა და ბაადურ გელაშვილის საკვალიფიკაციო ნაშრომი ცხადად აჩვენებს, რომ საბჭოთა მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგია ასრულებდა ერთგვარი „მრუდე სარკის“ როლს. მას განსაკუთრებით სავალალო შედეგები მაშინ მოჰქონდა, როცა (მასზე დაყრდნობით) საღვთისმეტყველო კონცეფციების ანალიზი ხდებოდა. ამდენად, ეს მეთოდოლოგია ქრისტიანული ფილოსოფიის წამომადგენელთა ანალიზის დროს ცალსახად უკუსაგდება.

5. იონა ხელაშვილის საღვთისმეტყველო ფილოსოფიური შემოქმედებისადმი ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომები შეინიშნება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში შესრულებულ სამეცნიერო გამოკვლევებში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ჟურნალ „უფლის ციხეში“ გამოქვეყნებული ლ. ზაქარაძისა (თბ., 2012 წ.) და თ. ირემაძის (თბ., 2014 წ.) ნაშრომები. ლ. ზაქარაძე იყენებს ფილოსოფიის ისტორიის სფეროში კარგად ცნობილ და სანდო კომპარატივისტულ მეთოდოლოგიას და ამგვარად ახდენს იონა ხელაშვილის ნააზრევის დახასიათებასა და შეფასებას. თ. ირემაძე კი ტექსტურ-კონტექსტური ანალიზისა და ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველების რეკონსტრუირებას ახდენს და მას ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში სისტემურად განიხილავს. იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ამ დისერტაციის ავტორმაც გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო სტატია, რომლებიც, ძირითადად, კომპარატივისტულ და ჰერმენევტიკულ კვლევით მეთოდოლოგიას ეყრდნობა.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა (კომპარატივისტიკა, ჰერმენევტიკა, ინტერდისციპლინურობა)

ზემოთ დასახული კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ამ სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, უწინარეს ყოვლისა, გამოვიყენე ფილოსოფიური ისტორიოგრაფიისთვის არსებითი **კომპარატივისტული (შედარების) მეთოდი**. უფრო მეტიც, ჩემი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მეთოდი მთავარ მეთოდოლოგიურ საშუალებასაც კი წარმოადგენს, რომელიც ამ დისერტაციაში გამოყენებულ ჰერმენევტიკულ და ინტერდისციპლინურ მიდგომებს აერთიანებს და აკავშირებს ერთმანეთთან.

ეს სადისერტაციო ნაშრომი ფილოსოფიის ისტორიის სფეროს განეკუთვნება. ფილოსოფიის ისტორიკოსს კი ფილოსოფიის განვითარების მთელი პროცესი აქვს მხედველობაში. იმისათვის, რომ მან შეძლოს განვითარების პროცესის მსვლელობისა და ეტაპების ანალიზი, აუცილებლად უნდა შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ცნებების, ტერმინების, თეორიებისა და სისტემების განვითარება. განსხვავებები და მსგავსებები თავს იჩენს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ეს მხოლოდ შედარების მეშვეობით ხდება შესაძლებელი. ნაშრომები, რომელთა მეთოდოლოგიური ბაზისი შედარებაა, ფილოსოფიის ისტორიკოსს თეორიების შეფასებისა და სისტემატიზების საშუალებას აძლევს. მთელი რიგი კლასიკური ფილოსოფიური თხზულებები, ფაქტიურად, განსხვავებული პოზიციების შედარებას წარმოადგენს. იგივე ითქმის ფილოსოფიის ისტორიის სფეროში შექმნილ უამრავ ნაშრომსა და დისერტაციაზე.

შედარება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ხდება ინტერკულტურულ ფილოსოფიაში, როდესაც ფილოსოფიასა და ფილოსოფიის ისტორიაში არაევროპული ფილოსოფიების ჩართვა ხდება. ის დიდი წინააღმდეგობა, რაც, ერთი შეხედვით, არსებობს ევროპულ და არაევროპულ ფილოსოფიებს შორის, ხშირად შედარების მეშვეობით რელატივირდება. ამ დროს

წინააღმდეგობები ხშირად თავს ავლენს, როგორც კულტურებისა და ენების მხოლოდ უკიდურესი ფორმები. ღრმა ჩაკვირვებას ძალუძს, შედარების მეშვეობით, აზროვნებაში ბევრი საერთო აღმოაჩინოს. აზრი უბრალოდ განსხვავებული ფორმებით გვევლინება. ევროპული და არაევროპული ფილოსოფიების შედარება გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებების წვდომის ტენდენციას. ამიტომ ყოველი სახის ინტერკულტურული ფილოსოფია, რომელსაც აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთიანობის წვდომა სურს, შედარებას ემყარება. იონა ხელაშვილის მიერ ლაიბნიც-კლარკის მიმოწერის ინტერპრეტაცია და მისი ანალიზი ჩემს სადოქტორო ნაშრომში სწორედ ამ პერსპექტივით არის ნასაზრდოები.

ფილოსოფიური აზროვნების ჯერაც უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ტრადიციათა და დოკუმენტთა ადეკვატური შესწავლის მეთოდოლოგიური წანამდღერები მოცემული აქვს პროფ. თენგიზ ირემაძეს თავის არაერთ სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ფილოსოფიის ისტორიის უსამართლოდ მივიწყებულ ეპიზოდთა და წარმომადგენელთა ანალიზსა და შეფასებას ეძღვნება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (თბ., 2013 წ.). იგი სისტემატურად ავითარებს **კონტექსტური კვლევის მეთოდოლოგიას**, რომელიც „კულტურულ მოვლენათა კვლევისას მარტივი სქემების უკუგდებასა“ და ამა თუ იმ ფილოსოფიური ტექსტის მისსავე ბუნებრივ (იმანენტურ) კონტექსტებში წაკითხვასა და შეფასებას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, ფილოსოფიის ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ტრადიციათა თანაბრად რეაქტუალიზებისა და მისი ცალმხრივი ევროპეიზაციის პროცესის რელატივირების შესაძლებლობას გვაძლევს. ფილოსოფიის ისტორიის თანამედროვე გააზრებას სწორედ ეს მეთოდოლოგიური მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ფილოსოფიის ისტორიის მივიწყებულ ეპიზოდთა შესწავლისა და მათი ისტორიული ვერიფიცირებისა. ვფიქრობთ, რომ იონა

ხელაშვილის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური შემოქმედების კომპლექსური ანალიზის პროცესში **კონტექსტური კვლევითი მეთოდოლოგია** დიდ დახმარებას გაგვიწევს.

გარდა ამისა, იონა ხელაშვილის შემოქმედების სპეციფიკიდან გამომდინარე (ბიბლიური ტექსტების ანალიზი და ა.შ.), ინტენსიურად გამოვიყენეთ **ფილოსოფიური ჰერმენევტიკის მეთოდიც**, კერძოდ კი, მისი მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი მომენტებისა და თავისებურებების გამოკვეთის დროს. ამ მეთოდთა გამოყენების შედეგად კი შეიქმნა სხვა **მეთოდოლოგიური არსენალის** გამოყენების წინაპირობაც: იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია, ასევე, წარმოდგენილი არის **ინტერდისციპლინური კვლევითი მეთოდოლოგიის ჭრილში**.

კვლევის შედეგების აღწერა

1. ბიოგრაფიული ცნობებისა და დოკუმენტური მასალის სიმწირის გამო, იონა ხელაშვილის მოღვაწეობის მრავალი ასპექტი დღესაც უცნობია. ამიტომ, მიზნად დავისახეთ, შეგვესწავლა და საგანგებო მსჯელობის საგნად გვექცია მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. ამ საქმეში, ჩვენთვის კარგად ნაცნობ სამეცნიერო წყაროებთან ერთად, ძალიან დაგვეხმარა სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ЦГИА СПб Ф. Оп. 11. Д. 367) დაცული დოკუმენტები; რამდენადაც ცნობილი იყო, რომ იონა ხელაშვილმა განათლება მიიღო, წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სანკტ-პეტერბურგში (სადაც პოვა კიდეც საუკუნო განსასვენებელი), ამდენად, ვვარაუდობდით, რომ ამ არქივში დამატებით მივაკვლევდით რაიმე სახის (ისტორიულ, დოკუმენტურ, მეცნიერულ თუ ეპისტოლარულ) მასალას ამ პიროვნების შესახებ. მართლაც, არქივში აღმოჩნდა მცირე, მაგრამ საინტერესო ინფორმაცია იონა ხელაშვილის ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალთან დაკავშირებით. ჩემ მიერ

მოპოვებული იქნა ეს მასალა; შემდეგ ის დავამუშავე, შევისწავლე და სხვა მეცნიერულ კვლევებთან შევადარე; საერთოსთან ერთად აღმოჩნდა განსხვავებებიც, რაც, ვფიქრობ, კიდევ უფრო საინტერესოს გახდის ჩემს მსჯელობას ამ დიდი მოღვაწის ბიოგრაფიის შესახებ.

2. კომპარატივისტული და კონტექსტური მეთოდოლოგიური არსენალის გამოყენებით, ამ სადისერტაციო პროექტის ფარგლებში, განვახორციელე იონა ხელაშვილის მთავარი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ნაშრომის, „ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნისა“ და მასში მოცემული მეტაფიზიკური კონცეფციის განხილვა-ანალიზი ფილოსოფიური ღვთისმეტყველების კონტექსტში. დავადგინე და განვიხილე ამ მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარი წყაროები (იოანე დამასკელი, ქართული საღვთისმეტყველო ტრადიცია და ა.შ.), ასევე, მისი ჩამოყალიბების წინაპირობები და სათავეები.

3. ფილოსოფიური ტექსტების კონტექსტური წაკითხვის საფუძველზე, დისერტაციაში განხილულია ევროპული სააზროვნო ტრადიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი, კერძოდ კი, ლაიბნიც-კლარკის მეცნიერული მიმოწერის მთავარი საკითხები და მათი ხელაშვილისეული ხედვა. იონა ხელაშვილმა ლაიბნიც-კლარკისეული მიმოწერის ქართულ თარგმანს, რომელიც ფრანგული დედნიდან 1823 წელს შეასრულა ილია ბაგრატიონმა, საყურადღებო კომენტარები დაურთო, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეტაფიზიკური კონცეფციის მთავარ პრობლემას, კერძოდ კი, ღმერთის შემეცნების საკითხს. საგანგებო ფილოსოფიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იონა ხელაშვილი ამ პრობლემის არც ლაიბნიცისეულ გადაწყვეტას ეთანხმება და არც კლარკისეულს. მართალია, იგი უფრო მეტ სიმპათიას კლარკისეული ხედვის მიმართ ამჟღავნებს, მაგრამ არც ამ ინგლისელი სასულიერო პირისა და მეცნიერის მათემატიკური მეთოდების უტყუარობისა სჯერა. იონა ხელაშვილის ტექსტის (ე.ი. მისი ე.წ. „კომენტარის“) კონტექსტური წაკითხვის მეთოდოლოგიური საფუძვლების მომარჯვების შედეგად,

ირკვევა, რომ ქართველი ფილოსოფოსი ღმერთის გაგების საკუთარ გზას ანიჭებს უპირატესობას. ეს გზა ეფუძნება დიდი ქრისტიანი მოაზროვნის, ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, იოანე დამასკელის (675-749 წწ.) ქრისტოლოგიურ ნააზროვნეს, კერძოდ კი, მის „ქრისტიანულ კატეგორიათმოდღვრებას“. თავად იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია კი შეიძლება დახასიათდეს როგორც „ფილოსოფიური ღვთისმეტყველება“ ანუ „ქრისტიანული მეტაფიზიკა“.

4. იონა ხელაშვილმა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში ქრისტიანული ფილოსოფიის ერთი-ერთი ყველაზე საგულისხმო მოდელი შექმნა, რომელიც ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების განვითარებისთვის დღესაც უაღრესად აქტუალურია. ეს მოდელი მოიცავს ამ მოაზროვნის მთელ მეტაფიზიკურ კონცეფციას. ამ სადისერტაციო ნაშრომში, ზემოთ ჩამოყალიბებულ მეთოდოლოგიურ ბაზისზე (უწინარეს ყოვლისა, კომპარატივისტულ მეთოდსა და კონტექსტურ ანალიზზე) დაყრდნობით, სწორედ ეს მეტაფიზიკური კონცეფცია არის რეკონსტრუირებული იონა ხელაშვილის თანადროული ქართული აზროვნებისა და ევროპული ფილოსოფიური დისკურსის კონტექსტში.

5. წარმოდგენილ დისერტაციაში აღდგენილია ცხოვრებისეული და შემოქმედებითი პროფილი XIX საუკუნის პირველი მესამედის უსამართლოდ მივიწყებული ამ დიდი ქართველი მოაზროვნისა. ჩემი კვლევის ერთ-ერთი არსებითი მეცნიერული სიახლე სწორედ ამ მთავარ კვლევით ასპექტთან არის დაკავშირებული: ვფიქრობ, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიაში საკუთარ ადგილს იპოვის ახალი დროის ქართული აზროვნების ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი; ამით დაინგრევა ქართულ საბჭოთა მარქსისტულ-ლენინისტურ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში მყარად ფესვგადგმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, იონა ხელაშვილი „რეაქციონერი მოაზროვნე“ იყო. იმედია, რომ ამ სადისერტაციო ნაშრომის ამგვარი სამეცნიერო-კვლევითი ორიენტაცია გარკვეულ წვლილს შეიტანს თანამედროვე ქართულ ჰუმანიტარულ

მეცნიერებებში ჯერ კიდევ შემორჩენილი იმ ეთიკური სტანდარტების დემონსტრირების საქმეში, რომელიც – პირდაპირ თუ ირიბად – ხშირად მარქსისტულ-ლენინისტური კვლევითი მეთოდოლოგიის მანკიერ ტრადიციას ეფუძნება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

1. პირველად ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მოცემულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული იონა ხელაშვილის ყველა ხელნაწერის აღწერილობა და სისტემური კლასიფიკაცია, რაც ამ ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველების შემოქმედების კვლევა-ძიებით დაინტერესებულ სწავლულებს დიდად წაადგება მისი თეორიული ნააზრევის შემდგომი დამუშავებისა და ანალიზის პროცესში. ამასთანავე, მოცემულია იმ თხზულებების სტრუქტურისა და შინაარსის გადმოცემა/აღწერა, რომელიც იონა ხელაშვილის თეორიული ნააზრევის, კერძოდ კი, მეტაფიზიკური კონცეფციის ანალიზის კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

2. რეკონსტრუირებულია იონა ხელაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების აქამდე უცნობი არაერთი დეტალი, რომელიც მისი თეორიული ნააზრევის ახსნა-განმარტების პროცესის ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს. აქამდე უცნობი საარქივო მასალის მოძიებისა და დაწვრილებითი ანალიზის შედეგად დადგენილია იონა ხელაშვილის დაბადების ზუსტი თარიღი და მყარი არგუმენტების მოშველიებით უარყოფილია დღემდე სწორად მიჩნეული და აღიარებული არაერთი ბიოგრაფიული დეტალი თუ ასპექტი.

3. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია ქრისტიანული ფილოსოფიის ჭრილში. გამოვლენილია ამ მოძღვრების მთავარი ფილოსოფიური და თეოლოგიური წყაროები. ჩატარებული კვლევა-ძიება ემყარება ფილოსოფიური მეთოდოლოგიის

მდიდარ არსენალს, რომელიც ახალი კვლევების ჭრილშია განხილული და დასახულ კვლევის მიზნებსა და ამოცანებს ადეკვატურად შეეთანადება.

4. იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფციის კონტურების ნათლად წარმოსაჩენად და მისი თავისებურებების გამოსაკვეთად ეს კონცეფცია განხილულია ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, ლაიბნიც-კლარკის ფილოსოფიური მიმოწერის კონტექსტში. ნაჩვენებია ამ დისკუსიაში დასმული პრობლემების რეცეფცია იონა ხელაშვილის მიერ და შეფასებულია მისი პოზიცია.

5. სადისერტაციო ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მეტაფიზიკის ასეთი სახე ორიენტირებულია ქრისტიანული ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების ისეთი კომბინაციის შექმნაზე, რომელიც სამყაროს დიადი წიგნების, „წმინდა წერილის“ ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას ისახავს მიზნად. მაშასადამე, იონა ხელაშვილის ფილოსოფიური ღვთისმეტყველება, რომლის თანმიმდევრული განვითარება მისსავე მეტაფიზიკურ კონცეფციას ქმნის, ეფუძნება ძველი და ახალი აღთქმის სიბრძნისმეტყველებას და მის სპეციფიკურ ფილოსოფიურ ჰერმენევტიკას წარმოადგენს. ამდენად, იონა ხელაშვილის თეორიული შემოქმედების სრულყოფილი ფილოსოფიური ანალიზი სწორედ მისი მეტაფიზიკური კონცეფციის დაწვრილებით განხილვასა და შეფასებას ეყრდნობა. აქვე საკმარისი ადგილი ეთმობა თავად ლაიბნიც-კლარკის მიმოწერის გადმოცემასა და ანალიზს, რაც ქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით აქამდე არ ქცეულა საგანგებო განხილვის საგნად.

დასკვნა

იონა ხელაშვილის მეტაფიზიკური კონცეფცია განხილული და შეფასებულია ქართული ფილოსოფიური ღვთისმეტყველების კონტექსტში, რადგან სწორედ მან განავითარა ახალი დროის ქართულ აზროვნებაში წამოწყებული ის მძლავრი ინტელექტუალური მოძრაობა, რომელიც, უმეტესწილად, ანტონ ბაგრატიონის სახელს უკავშირდება. ანტონმა ახალი კვლევა-ძიებით გამდიდრა ფილოსოფიური ღვთისმეტყველება და მას ჭეშმარიტად ინტერდისციპლინური ხასიათი შესძინა. შეიძლება ითქვას, რომ იონა ხელაშვილმა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ფილოსოფიური ღვთისმეტყველება საქართველოში. ამ აზრით, იგი ახალი დროის ქართულ აზროვნებაში გამაშუალებელი მოაზროვნეა, ერთი მხრივ, ანტონ ბაგრატიონსა და, მეორე მხრივ, სოლომონ დოდაშვილს შორის. ამ დიდი ინტელექტუალური მოძრაობისა და საღვთისმეტყველო კვლევა-ძიების გვირგვინს კი წარმოადგენს იმერეთის ეპისკოპოსის, გაბრიელის, იგივე, გაბრიელ ქიქოძის ქრისტიანული (ფილოსოფიური) ანთროპოლოგია.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Guram Berbichashvili
(Metropolitan Grigoli)

Iona Khelashvili's Metaphysical Conception

Specialty: Philosophy

Thesis is presented for obtaining the Dr. of Philosophy Degree

Resume

Tbilisi
2017

19

Grigol Robakidze University

Scientific supervisor: **Tengiz Iremadze**
Doctor of Philosophy, professor

The defense of the dissertation will take place on 31th May, 2017, at 17:00 pm at Grigol Robakidze University at a session of the Certifying Committee of Experts of the School of Humanities and Social Sciences.

The dissertation is available at the library of Grigol Robakidze University (13th km., Agmashenebeli Alley, Tbilisi).

Contents

Introduction	22
The reaserch subject and actuality	22
Aim of the research	22
Research objectives	23
Hypothesis.....	24
Review of Scientific Literature and Theoretical Context of Study	25
Methodology and Research Description	27
Description of Research Results	29
Scientific Novelty of the Work	31
Conclusion	32

Introduction

The research subject and actuality. In the XX century Georgia development of humanitarian sciences was obstructed by introducing and implementing Marxist-Leninist research methodology. As a result of it the study of the life and creative work of important Georgian philosophers and theologians was not done properly. Because of this tendency intellectual legacy of many important Georgian thinkers was ignored. Iona Khelashvili is outstanding representative of early modern Georgian thought whose rich theoretical (philosophical and theological) creative work has never been a subject of intensive scientific research, while in early modern Georgian thought one can hardly find philosopher or theologian who gave such a powerful push to the development of these two fields as Iona Khelashvili did. He created one of the most intelligible models of Christian philosophy in early modern Georgian theoretical thought which is still very urgent for the development of Georgian theology. The model includes the whole metaphysical concept of this thinker.

The metaphysical legacy of Iona Khelashvili is not yet properly researched. It should be noted that in the depots of Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, several dozen important theoretical works are preserved in which his most remarkable philosophical and theological concepts are revealed. I believe that decrypting, editing, and studying these works is an urgent research task of Georgian philosophical and theological thought. Consequently, the metaphysical concept of Iona Khelashvili is one of the most important research problems of contemporary Georgian philosophical historiography.

Aim of the research. As it was mentioned above, detailed philosophical analysis of the metaphysical concept of Iona Khelashvili is not done yet. Moreover, in the context of the Soviet Marxist philosophical historiography this great Georgian thinker was considered as “reactionary”. This tendency was so comprehensive

that even Shalva Nutsubidze in the second volume of his “History of Philosophy”, considered him as a member of the “theological-reactionary movement” who prevented the progressive development of Georgian philosophical thought in early modern period. Such assessments greatly prevented the study of Iona Khelashvili's versatile creative work. Many important details of his life and creative work remain unknown to date. Until now even the exact date of birth of this thinker was unknown. Therefore, within the scope of this dissertation Iona Khelashvili's metaphysical concept is reconstructed, as well as many important details of his life and creative work. It is worth mentioning that the adequate assessment of life of Iona Khelashvili is necessary for proper analysis and evaluation of the Georgian metaphysician's creative work, because Iona Khelashvili belongs to the number of those prominent thinkers whose lives and creative work are inseparable and therefore they should be presented in a united context.

Research objectives. To accomplish the objectives the following tasks are required to be fulfilled: (1). Scientific literature on Iona Khelashvili's theoretical creative work should be overviewed and scientifically evaluated (2), The manuscripts of Iona Khelashvili preserved in the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts should be described and classified, in addition, those problems and the topics should be outlined that are of great importance during the review and analysis of the metaphysical concept of Iona Khelashvili. (3). The socio-political and cultural environment in which Iona Khelashvili was living and working should be discussed and analyzed. Here too must be reconstructed those most important stages of his life and creative work which were not previously known in Georgian philosophical historiography or were incorrectly presented (e.g., the date of birth of Iona Khelashvili). (4). For the complete analysis of the creative work of Iona Khelashvili it is necessary to review his teaching in the context of early modern European-Georgian scientific thought, because his creative work is the integral part of early modern scientific thought. The proper consideration of these aspects will enable us to elaborate the peculiarities of Iona Khelashvili's

metaphysical concept and show its novelty and originality. (5). In the last chapters of the doctoral thesis, should be presented the main problems of the metaphysical conception of Iona Khelashvili based on his well-known, lesser known and still unknown works and materials. Herewith special attention should be paid to the consideration and analysis of the specificity and characteristics of the metaphysical concept of Iona Khelashvili to show the novelty and actuality of the concept itself.

Hypothesis. The main results of the philosophical and theological work of Iona Khelashvili are summarized in his key work *The Book of Thirty-Four Questions* (1826). Georgian thinker here also forms a model of Christian philosophical theology, which is a certain synthesis of philosophy and theology based on his research goals and methodological principles. As a result of this methodological mixture Khelashvili's version of philosophical theology is formed, which can be called metaphysical concept of Iona Khelashvili. This type of metaphysics is focused on the creation of such a combination of Christian philosophy and theology that aims at the philosophical explanation of the great books of the world, the "Holy Scripture". Thus, the philosophical theology of Iona Khelashvili, consistent development of which forms his metaphysical concept, is based on the wisdom of the Old and New Testament and is its specific philosophical hermeneutics.

As a result of methodological contextual reading of Iona Khelashvili's metaphysical texts and commentaries of biblical books, it becomes clear that the Georgian philosopher offers his own model of understanding the God, world, and the human that is based on the Christological thought of great Christian thinkers. It is here that his "Doctrine of Christian Categories" emerges based on which the metaphysical conception of Iona Khelashvili can be described as "philosophical theology" or "Christian metaphysics".

Review of Scientific Literature and the Theoretical Context of the Study

1. Iona Khelashvili's was the author of dozens of works in which the most notable theological, philosophical, aesthetic and literary views are set out. He was a scribe, researcher, philosopher, teacher of Erekle II's children and grandchildren and a teacher and tutor of many Georgian public figures.

2. In the context of the scientific study of the rich philosophical and theological legacy of Iona Khelashvili, the first important steps were taken after Gulnara Dedabrishvili first published his main work *The Book of Thirty-Four Questions* (Tbilisi, 1967), and then his *Epistolary Archive* (Tbilisi, 2000). These publications are accompanied by the publisher's introductory letters and notes in which the different aspects of the worldview of Georgian philosopher and theologian are in the foreground. Nevertheless, the serious study and analysis of the Georgian philosopher and theologian's theoretical creative work did not occur in the 20th century Georgian philosophical historiography. Furthermore, as a result of the Soviet Marxist-Leninist research methodology prevailing at the time, Iona Khelashvili was declared as a “reactionary theologian” who fought against the achievements of materialistic philosophy (Sh. Nutsubidze).

3. The example of the implementation of this consideration by Shalva Nutsubidze is a doctoral thesis “Critical Analysis of the Religious and Philosophical Views of Iona Khelashvili” presented by Baadur Gelashvili at the Tbilisi State University's Department of Scientific Atheism in 1984. In this work, Iona Khelashvili's theoretical thought is evaluated according to the theories of “Marxist-Leninist Atheism”, or as author puts it according to “scientific atheism”. Furthermore, Baadur Gelashvili's doctoral thesis belongs to the “Marxist-philosophical criticism of religion” and its aim is to criticize the religious worldview of Iona Khelashvili based on methodological precepts of “scientific atheism”. In this work its “theoretical and methodological basis” is clearly underlined: “the method of dialectic

and historical materialism” and works by “Classics of scientific atheism” (K. Marx, F. Engels, V. Lenin) on religion and atheism. According to the doctoral candidate, his thesis is ultimately based on the “founder of scientific atheism” Karl Marx's methodology in his work “Critique of Hegel's Philosophy of Right”, in which the doctoral candidate believes that the main principles of “proletarian atheism” are formed.

4. Works written on the basis of the Soviet Marxist-Leninist Research Methodology (regardless of their small number!) carry out the Soviet ideological character and violate the criteria of “objective assessment”. So, we can say that in this regard we face ideological scientific researches that seek to fulfill the goals and objectives set in advance. The above mentioned doctoral work of Baadur Gelashvili gives us the opportunity to make more interesting conclusions in this regard. In particular, it seems obvious that the doctoral candidate takes into the consideration “Soviet” and “pro-Russian” trends of the epoch, and he ascribes Iona Khelashvili to a group of those thinkers who considered that “the road to Europe goes only through Russia” and so on. In addition, the evaluation of Iona Khelashvili by Shalva Nutsbidze and Baadur Gelashvili's doctoral thesis clearly show that the Soviet Marxist-Leninist research methodology was a kind of “curve mirror”. It had particularly disastrous results when (based on it) theological concepts were analyzed. Thus, this methodology should be undoubtedly neglected when analyzing the works of the Christian philosophers.

5. New methodological approaches to the theological and philosophical creative work of Iona Khelashvili can be observed in recent scientific studies. From this point of view, it is worth mentioning the works of L. Zakaradze (Tbilisi, 2012) and T. Iremadze (Tbilisi, 2014) published in the journal “Uplis Tsikhe”. L. Zakaradze uses a well-known and reliable comparative methodology and thus describes and characterizes Iona Khelashvili's thought. While T. Iremadze is reconstructing the philosophical theology of Iona Khelashvili with the use of text-context analysis and interdisciplinary

methodology and in the context of Christian philosophy gives its systematic analysis. I have also published several scientific articles about the life and work of Iona Khelashvili which are mainly based on comparative and hermeneutical research methodology.

Methodology and Research Description (Comparativism, Hermeneutics, Interdisciplinarity)

Based on the above-mentioned research goals and objectives, in the framework of this work, first of all I will be using **comparative method** which is essential for philosophical historiography. Moreover, in the interest of our research, this method is also the main methodological tool that combines and interacts with the hermeneutical and interdisciplinary approaches.

The historian of philosophy takes into the consideration a whole process of development of philosophy. In order to be able to analyze the process and stages of development, the development of different concepts, terms, theories and systems should be compared with each other. Differences and similarities appear gradually, step-by-step. This is only possible through comparison. Scientific works, methodological base of which is comparison give an opportunity to the historian of philosophy to make theoretical assessment and systematization. A number of classical philosophical works are, in fact, comparison of different positions. The same is true of many works and dissertations written in the field of philosophy.

Comparison becomes even more important and fruitful in intercultural philosophy when in the history of philosophy and philosophy in general non-European philosophies are involved in. A big obstacle that, at first glance, exists between European and non-European philosophies, is often relativized by comparison. At this time, the contradictions often reveal themselves as only the extreme forms of cultures and languages. Deep observation by comparison can lead to the discovery of a lot of common in thinking. The opinion

simply appears in different forms. Comparison of European and non-European philosophies involves the tendency of access to common characteristics. That is why each type of intercultural philosophy which wants to gain the unity of thinking and philosophy is based on comparison. Iona Khelashvili's interpretation of Leibnitz-Clark's correspondence and its analysis by me is based on this perspective.

Methodological proposals for the adequate study of yet unknown or lesser known traditions and documents of philosophical thought are given in many scientific works of Prof. Tengiz Iremadze, which are dedicated to analyzing and evaluating unfairly forgotten episodes and figures of the history of philosophy. In this respect it is particularly worth mentioning his monograph "Philosophy at the Crossroads of Epochs and Cultures. Intercultural and Interdisciplinary Studies" (Tbilisi, 2013). He systematically develops **contextual research methodology** which refers to reading and evaluating some of the philosophical texts in its natural (implicit) contexts "by neglecting simple schemes of studying cultural phenomena", This, in turn, gives us the opportunity to equally re-actualize the different traditions of philosophy and relativize its one-sided "Europeanization" process. The contemporary understanding of the history of philosophy must be based on this methodological approach that will allow us to study the forgotten episodes of the history of philosophy and make their historical verification. I believe that **contextual research methodology** will help us in the process of complex analysis of the theological and philosophical works of Iona Khelashvili.

In addition, based on the specificity of Iona Khelashvili's creative work (analysis of Biblical texts, etc.), I am intensively using the **method of philosophical hermeneutics**, namely, when outlining the main points and peculiarities of his metaphysical conception. The use of these methods is also the precondition for the use of other **methodological arsenal**: the metaphysical conception of Iona Khelashvili is presented in the light of **the interdisciplinary research methodology**.

Description of Research Results

1. Many aspects of Iona Khelashvili's life are still unknown due to the lack of biographical information and documentary material. Therefore, I aimed to study and discuss the milestones of his life. In this case, together with the well-known scientific sources, documents preserved in the central state historical archive of Saint Petersburg (ЦГИА СПб Ф. О. 11. Д. 367) were of great help to me; as far as it was known that Iona Khelashvili was educated, lived and worked for years in St. Petersburg (where he found eternal peace), so I supposed that in this archive could be found different kinds of additional (historical, documentary, scientific or epistolary) materials about this person. Indeed in the archive the small but interesting information about some of the details of the biography of Iona Khelashvili was preserved. I got this material, treated and studied it and compared to other scientific researches; together with similarities I also found some differences, which I think will make my discussion more interesting about the biography of this great figure.

2. By using comparative and contextual methodological arsenal, in the framework of this dissertation project, I have reviewed and analyzed the main philosophical and theological work of Iona Khelashvili – *The Book of Thirty-four Questions* – in the context of philosophical theology. I have identified and discussed the major sources (John of Damascus, Georgian theological tradition, etc.) of this metaphysical concept as well as the prerequisites and origins of its development.

3. On the basis of the contextual reading of the philosophical texts I discussed one of the most important sections of European thinking tradition, namely, the key issues of Leibniz-Clarke scientific correspondence and their vision of Khelashvili. Iona Kelashvili wrote interesting notes for Georgian translation of Leibniz-Clarke's correspondence, translated from French in 1823 by Ilia Bagrationi; in these notes he gave special attention to the major problem of the

metaphysical concept, namely, to the cognition of God. As a result of the special philosophical analysis Iona Khelashvili doesn't agree with either Leibniz's solution or Clarke's. Although he shows more sympathy for Clark's vision, he does not believe in the truth of mathematical methods of this English cleric and scholar. As a result of using the contextual reading methodology for the treatment of Iona Khelashvili's text (i.e. his so-called "commentary"), it becomes clear that the Georgian philosopher prefers his own way of understanding of God. This way is based on the Christological thought of the great Christian thinker, theologian and philosopher, John of Damascus (675-749), and in particular his "doctrine of Christian categories". The metaphysical conception of Iona Khelashvili himself can be described as "philosophical theology" or "Christian metaphysics".

4. Iona Khelashvili made one of the most important models of Christian philosophy in early modern Georgian thought, which still remains very useful for the development of Georgian philosophical theology. This model includes the whole metaphysical concept of this thinker. This work by using above-mentioned methodological basis (above all, comparative method and contextual analysis) reconstructs this metaphysical concept in the context of Khelashvili's time Georgian and European philosophical discourse.

5. This dissertation restores the life and intellectual profile of the great Georgian thinker of the first third of the XIX century who was unfairly forgotten. One of the essential scientific novelties of my research is related to these aspects. This outstanding early modern Georgian thinker should gain his place in the history of Georgian philosophy; I hope that the dissertation will nullify the position of Georgian Marxist-Leninist philosophical historiography according to which Iona Khelashvili was "reactionary thinker". I also hope that such a scientific-research orientation of this work will contribute significantly to the contemporary Georgian humanitarian sciences in the dismantling of those ethical standards which is directly or

indirectly based on the vicious tradition of the Marxist-Leninist research methodology.

Scientific Novelty of the Work

1. For the first time in the history of Georgian philosophy the description and systematic classification of Iona Khelashvili's manuscripts preserved in K. Kekelidze National Center of Manuscripts was done, so researchers interested in the study of this Georgian philosopher and theologian will benefit greatly when further processing and analyzing his theoretical thought. At the same time, the doctoral thesis provides description of the structure and content of those works that are of special importance in the context of analyzing Iona Khelashvili's theoretical thought, and in particular his metaphysical concept.

2. A number of previously unknown details of the life and work of Iona Khelashvili are reconstructed, which is an integral part of the process of explanation of his theoretical thought. The exact date of the birth of Iona Khelashvili is determined as a result of the search and analysis of unknown archive materials, and many wrong biographical details or aspects which previously were considered to be correct are rejected based on solid arguments.

3. This doctoral thesis discusses the metaphysical concept of Iona Khelashvili in the context of Christian philosophy. Here the main philosophical and theological sources of this doctrine are revealed. The research is based on a rich arsenal of philosophical methodologies that are discussed in the context of new studies and adequately correspond with the goals and objectives of the research.

4. To outline clearly the contours of Iona Khelashvili's metaphysical concept and its peculiarities, this concept is discussed in the context of the philosophical correspondence of Leibniz-Clarke which is one of the most important documents of European philosophical thought.

The work also shows Iona Khelashvili's reception of the problems raised in this correspondence and assesses his position as well.

5. The dissertation shows that this type of metaphysics is focused on the formation of such a combination of Christian philosophy and theology, which aims at philosophical explanation of the great books of the world, the "Holy Scripture". Thus, the philosophical theology of Iona Khelashvili, consistent development of which makes his metaphysical concept, is based on the wisdom of the Old and New Testament and its specific philosophical hermeneutics. Therefore, the complete philosophical analysis of Iona Khelashvili's theoretical creative work is based on a detailed review and assessment of his metaphysical concept. The dissertation also includes the analysis of Leibniz-Clark correspondence which until now has not been the subject of special treatment in Georgian philosophical historiography.

Conclusion

The metaphysical concept of Iona Khelashvili is reviewed and evaluated in the context of Georgian philosophical theology; he developed a powerful intellectual movement initiated in early modern Georgian thought that was largely associated with Anton Bagrationi. Anton enriched philosophical theology with new studies and gave to it genuinely interdisciplinary character. It can be said that Iona Khelashvili took philosophical theology on a higher level in Georgia. In this sense, in early modern Georgian thought he is a mediating figure between Anton Bagrationi on the one hand and Solomon Dodashvili on the other. The peak of this intellectual movement and the theological studies is a Christian (philosophical) anthropology of the bishop of Imereti Gabriel Kikodze.